ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3726877

ნომერი: AR1560920

თარიღი : 28.11.2017

გაცემის თარიღი : 12.12.2017

გაცნობის თარიღი : 11.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გასასვლელი N7ა-ს მიმდებარედ./ ქალაქი თბილისი , გერგეთის გას N7ა მიმდ / ქალაქი თბილისი , გასასვლელი , გერგეთი , N 7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა მიმდ. / ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გასასვლელი N7ა-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ეკატერინე თორდია პ/ნ 01026008770
- თბილისი. სობჩაკის ქ. 3

ორგანიზაცია:
- შპს "კასს1" კოდი: 404480236

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი # AR1560920 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ითხოვთ ქ. თბილისში, გერგეთის გას. #7ა–ში #01.15.07.006.081 საკადასტრო ერთეულზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, 2017 წლის 27 ნოემბერს №3702519 ბრძანებით ქ. თბილისში, გერგეთის გას. #7ა–ში #01.15.07.006.081 საკადასტრო ერთეულზე სამსახურის მიერ შეთანხმდა #2455509 გადაწყვეტილებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2020 წლის 27 მაისის ჩათვლით.

ასევე გაცნობებთ, რომ 2017 წლის 13 ნოემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში ჩატარდა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომა, რომელზეც ესწრებოდნენ ნიკოლოზ წიკლაური და შპს „კასს1“–ის წარმომადგენელი ანა შანიძე.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.